კომუნიკაციების რეგულირების სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და მათი აღმოხვრის გზები

ლაშა ლალიაშვილი

ბაკურ არზიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების პროგორამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ჯიქია, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საკითხები და მათი სათანადოდ რეგულირება დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება ქართულ რეალობაში, თუმცა, აღნიშნულმა კანონმდებლობაში სრულყოფილი ასახვა ჯერჯერობით ვერ მოიპოვა. საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს. აქედან გამომდინარე, მისი მიზანია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ნაშრომში განხილულია ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირების სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები, მარეგულირებელი კომისიის ფუნქცია–მოვალეობები, ბაზარზე არსებული ოლიგოპოლური სიტუაცია, კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის არსებული პრობლემები, უკანონო სატელეფონო მოსმენები და აღნიშნულ სფეროში არსებული სხვა საკითხები, რომელიც დაფუძნებულია საგაზეთო სტატიებზე, ბაზრის კვლევებსა და კონკრეტულ სამართლებრივ ხარვეზების ანალიზზე, რაც თანამედროვე ცხოვრებაში სულ უფრო აქტუალური ხდება და მათი გადაჭრა, აღნიშნულ საკითხებში საზოგადოების ინტერესის ზრდით, კანონმდებლობის დახვეწით და შესაბამისი რეგულაციებით მიიღწევა.